

ოქმი №2

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2018 წლის 31 იანვარი.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:55 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – ბ. ხურცია, ნ. ალანია, მ. ტორჩინავა, დ. ადამია, მ. ადამია, ზ. სანაია.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირები: ნ. ზარანდია, ჯ. ჩოჩია, ი. საჯაია, ბ. ოდიშარია, გ. რობაქიძე, გ. ქაჯაია. საკრებულოს წევრი: თ. ჯინჯოლავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე – ბ. ხურცია.

დღის წესრიგი:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 12 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თობაზე”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

2. „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი (ძირითადი) ქონების (საკადასტრო კოდი N 44.01.31.229) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016წლის 30 სექტემბრის N44 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 6; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 2. „სენაკის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 12 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თობაზე”

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 12 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თობაზე”.

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებმა, მოწვეულ სტუმრებთან ერთად წარმოდგენილი საკითხის განხილვის პროცესში მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ დადგენილების პროექტში შევიდეს შემდეგი ცვლილებები: კერძოდ დადგენილების პროექტში ამოღებულ იქნეს მე-8 მუხლის მე-10 პუნქტი. ხოლო მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ მუხლი 11. მიწის ნაკვეთზე კერძო სასაფლაოს მოწყობის წესი

1. მიწის ნაკვეთზე ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) ან არსებული კერძო სასაფლაოს გაფართოების საკითხი საჭიროებს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას. კერძო სასაფლაოს გახსნა არსებული სასაფლაოს მომიჯნავედ დასაშვებია მინიმუმ 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფართობზე, ხოლო ახალი კერძო სასაფლაოს გახსნა დასაშვებია მინიმუმ 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. ამ მუხლის ამოქმედებამდე უნაბერთვოდ გახსნილი კერძო სასაფლაოს მოწყობა სათანადო ნებართვით დასაშვებია მაქსიმუმ 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფართობზე. ”

კომისიის წევრებმა განიხილეს რა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. დადგენილების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 12 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თობაზე“ ცვლილებების გათვალისწინებით წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

მოისმინეს: 2. „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი (ძირითადი) ქონების (საკადასტრო კოდი N 44.01.31.229) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016წლის 30 სექტემბრის N44 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი (ძირითადი) ქონების (საკადასტრო კოდი N 44.01.31.229) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016წლის 30 სექტემბრის N44 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ - განკარგულების პროექტი.

კომისიის წევრებმა განიხილეს რა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი, ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. განკარგულების პროექტი - „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი (ძირითადი) ქონების (საკადასტრო კოდი N 44.01.31.229) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016წლის 30 სექტემბრის N44 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ წარედგინოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.